h 45.

№ 10

რევოლუციონერი

ვენსენის კატასტროფის მსხვერპლნი.

1 9
ნოემბერი

რევოლუციონერი

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების
ყოველთვიური ორგანო

2 8
ტფილისი

თვიდან-თვემდე

ნიულ-ბედფორდში გაფიცვების ერთ-ერთ ხელმძღვანელის შეპყრობა პოლიციელების მიერ.

გერმანია

ჰამბურგის აჯანყების 5 წლის თავი.

ოქტომბრის 24 ჰამბურგში მოეწყო ძლიერი პროლეტარული დემოსტრაცია ჰამბურგში მომხდარ აჯანყების 5 წლის თავის აღსანიშნავად. დემონსტრაცია მოეწყო ჰამბურგში არსებულ ყველაზე უდიდეს დარბაზში, ვინაიდან კომუნისტური დემონსტრაციის მოწყობა გაშლილ ცის ქვეშ აკრძალეს სოციალ დემოკრატიის ბელადებმა.

დემონსტრაციაზე სიტყვით გამოვიდა ტელმანი, რომელმაც ჩინებულად დააახასიათა 1923 წ. ოქტომბრის დღეების ამბები, მან თავისი მეტად შინაარსიანი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაასრულა: „ჩვენ ისევ გავალთ ბარიკადებზე და მოვიპოვებთ პროლეტარულ დიქტატურას“-ო.

რუმინეთი

სასჯელი სიმშილობისათვის.

ოქტომბრის 29 ბუქარესტის სასამართლოში მოსმენილ იქნა საკატორღო საპყრობილე ჟილავაში დამწყვდეულ ამხ. როტენბერგის, არადის, ვოგენისა და ბერშადსკის საქმე, რომელთაც ბრალი ედებათ „აჯანყების“ მოწყობაში. მათ მიერ მოწყობილი „აჯანყება“ გამოიხატება იმაში, რომ ისინი ციხის ადმინისტრაციის მიერ არა ადამიანურ მოპყრობას უპასუხებდენ შიმშილობის გამოცხადებით, ამრიგად ციხის მაიორის, ამგიროს მიერ დაწესებულ საშინელი რეჟიმის საპროტესტოდ ამხ. როტენბერგი მთელი 25 დღის განმავლობაში სიმშილობდა.

ავსტრია.

კომუნისტების დაპატიმრება და გადასახლება.

ოქტომბრის 11 ვენაში დააპატიმრეს ავსტრიის კომკავშირის მდივანი ბ ო ლ ი, რომელიც ხელმძღვანელობდა მუშა ახალგაზრდობის გამოსვლას ფაშისტების წინააღმდეგ ნოემბრის 7. ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტი დეპუტატი ვიქტორ შტერნი გადაასახლეს ავსტრიიდან, იმ საჯარო სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა ვინერ-ნეშტადის ქუჩაში გამართულ მიტინგზე.



გერმანიის 1848 წ. რევოლიუციის დროს დაღუპულთა საფლავზე გვირგვინებს აწყობენ 1918 წ. რევოლიუციის 10 წ. თავზე.

დღეს-დღეობით ვენის საპყრობილეში მოქცეულია ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და „მოქმედების კომიტეტის“ 14 წევრი, რომელიც შემდგარი იყო 7 ნოემბრის ფაშისების მიერ განზრახული გამოსვლების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ყველა ისინი მიცემულნი იქნებიან პასუხისგებაში სახელმწიფოს ღალატისათვის.

საფრანგეთი

ამხ. დორიოს განთავისუფლება.

ოქტომბრის 25, პარიზის საპყრობილე „სანტე“-დან გაანთავისუფლეს, საფრანგეთის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. ჟ. დორიო, რომელმაც დაჰყო 8 თვე საპატიმროში ომის წინააღმდეგ გაწეული პროპაგანდისათვის.

განთავისუფლებისთანავე ის გამოვიდა მუშათა უდიდეს მიტინგზე სიტყვით სამხედრო საშიშროების წინააღმდეგ, მეორე დღეს კი — ის გამოვიდა ვრცელი სიტყვით იტალიის ფაშიზმის წინააღმდეგ.

სამხრეთ-სლავია

რეპრესიის სტატისტიკა

ზაგრებში გაზეთ „ადამიანთა დაცვა“-მ გამოაქვეყნა 1928 წ. პირველ ნახევრის რეპრესიის სტატისტიკა.

სამხრეთ-სლავიაში 6 თვის განმავლობაში დააპატიმრეს 1.664 კაცი. 132 კაცს განაჩენი გამოუტანა ტრიბუნალმა, მათ შორის 9 კაცს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა, 5 კაცის მიმართ განაჩენი უკვე მოიყვანეს სისრულეში. დანარჩენ 123 კაცს კი მიესაჯა საერთო ჯამით 371 წ. 10 თვე და 21 დღე.

გარდა ამისა სამხრეთ-სლავიაში ადგილი ჰქონდა 27 პოლიტიკურ მკვლელობას, 94 დასჭრეს და 203 კაცი გადასახლებულ იქნა, საერთო ჯამის მიხედვით 884 წ. ვადით. 71 კაცმა საპყრობილეში სიმშილობა გამოაცხადა, რომელიც საერთო ჯამის მიხედვით გაგრძელდა 293 დღის განმავლობაში.

პირველ ივლისისათვის საპყრობილეებსა და სიმაგრეებში იჯდა 281 პოლიტ-პატიმარი, რომელთაც საერთო ჯამით მისჯილი ჰქონდათ 1.028 წელი.

უკანასკნელ ხანებში სამხრეთ-სლავიაში თეთრი ტერორი საგრძნობლად გაძლიერდა.

რემედასის პრესის სამდღიურის განმავლობაში ერთი-ორად უნდა გაძლიერდეს ხელის მოწერა ჟურნალ „რემედას“-ზე.

363(∾)(051)
Ა43.

წელიწადი მეოთხე

№ 10

ნოემბერი

∞ 1928 ∞

რემედა

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარიო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5, II-რე სართ.

∞ ტელ. 9-78 ∞

რემედასის კვირეული

მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში რევოლიუციონურ მოძრაობის გაღრმავება იწვევს თეთრი ტეროორისა და ფაშიზმის გაძლიერებას. ამის დასამტკიცებლად ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ იტალია, სადაც დღითი-დღე ფართო ხასიათს იღებს მასიური ტეროორი, მომავალი პროცესები: ბულგარეთში, რუმინეთში, სამხრეთ-სლავიაში, ვენგრიასა და პოლონეთში, სადაც ხელისუფლება განუკითხავად მიერეკება საპყრობილისაკენ ყველა იმათ, ვინც უკმაყოფილებას იჩენს არსებულ წყობილებისადმი. ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღითი-დღე მატულობს პოლიტ-პატიმართა რიცხვი, მათი ოჯახის წევრები ხელისუფლების ჯაშუშებისაგან დიდ შევიწროებას განიცდიან.

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია უსაშინელესი რეპრესიებით თავს ესხმის პროლეტარიატის რევოლიუციონურ მოძრაობას. თეთრი ტეროორი მეტად მწვავე ხასიათს ღებულობს ისეთ „დემოკრატიულ“ ქვეყნებშიაც კი, როგორიცაა მაგალითად საფრანგეთი და ინგლისი. ამრიგად თეთრი ტეროორი გადაიქცა ბურჟუაზიის ხელში უძლიერეს იარაღად, რომელსაც ის მიმართავს პროლეტარიატის წინააღმდეგ, რათა გაანადგუროს მის მიერ დაწყებული რევოლიუციონური განმათავისუფლებელი მოძრაობა.

მაგალითისათვის ჩვენ აქ მოვიყვანთ ცნობებს ზოგიერთ ქვეყნებში რევოლიუციონურ მოძრაობის ჩაქრობის დასახასიათებლად. ეს ცნობები შეეხება 1918 — 27 წ.წ. პერიოდს.

გერმანიაში დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა უდრის 15.600, სხვადასხვა ვადით გასამართლებულთა — 58.000. ვენგრიაში დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა უდრის 14.500, სხვადასხვა ვადით გასამართლებულთა — 92.000, ბულგარეთში დაჭრ.-დახოც. 27.000, სხვადასხვა ვადით გასამართ. 210.000. იტალიაში დაჭრ.-დახ. 32.000, სხვადასხვა ვადით გასამართ. 170.000, ესტონეთში დაჭრ.-დახოც. 25.000, სხვადასხვა ვადით გასამართ. 12.000, პოლონეთში დაჭრ.-დახოც. 32.000, სხვადასხვა ვადით გასამართლებულთა 18.000 კაცს.

ბურჟუაზია ლამობს საპყრობილის მოუთმენელი და აუტანელი რეჟიმით ფიზიკურად გაანადგუროს რევოლიუციონური პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლები. ყველგან შემოღებულია პოლიტ-პატიმართა დამწყვდევა ცალკე საკნებში, სადაც მათ უწყალოდ სცემენ და მხეცურად აწამებენ. ამავე დროს მთელი ქვეყნის [illegible] მოფენილია პოლიტ-პატიმართა უპატრონოდ მიტოვებულ ცოლშვილით, რომლებსაც არ გააჩნიან არავითარი საღსარი ცხოვრებისა. მათ გამოცლილი აქვთ ყოველგვარი ნიადაგი კაპიტალისტურ წყობილების პირობებში, და განიცდიან საშინელ სივიწროვეს, ისინი განწირულნი არიან სასიკვდილოდ.

ბურჟუაზიის მიერ, რევოლიუციონურ პროლეტარიატისადმი ასეთ მხეცურად მოპყრობამ წამოაყენა რემედასის დახმარების იდეა, რომელიც გამომხატველია საერთაშორისო მუშათა კლასის კლასობრივ ერთსულოვნების და რომელიც მიზნად ისახავს თეთრი ტეროორის მსხვერპლთა დასახმარებლად ყოველგვარი ღონისძიებათა გამონახვას. რემედასი ამავე დროს აწარმოებს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

დღეს, წარმოების კაპიტალისტურ-რაციონალიზაციის პირობებში საერთაშორისო ასპარეზზე რემედასის მოღვაწეობა მეტად დიდი მნიშვნელობის მატარებელია. რემედასის მუშაობას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ბურჟუაზია ემზადება მთელი თავისი ძალღონე შემოიკრიბოს და გადავიდეს მუშათა კლასის მიმართ შეტევაზე.

ბურჟუაზია ემზადება მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობის ზრდასთან დაკავშირებით, რომელსაც ადგილი აქვს, როგორც თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში, ისე მთელ რიგ კოლონიალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. საზღაპროდ იზრდება თეთრი ტეროორის აღვირახსნილობა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა ტეროორის უსაშინელეს შემთხვევებს. ეს გაძლიერებული შემოტევა ავალებს რემედასს ერთი-ორად გააძლიეროს თავისი მოღვაწეობა რეაქციის მსხვერპლთა დასახმარებლად. რემედასის მუშაობის გაძლიერება მით უფრო აუცილებელია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოები უპირველეს ყოვლისა ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ ამზადებენ ახალი ომის საშიშროებას. რემედასის მიერ აღმოჩენილი მატერიალური და მორალური დახმარება შესამჩნევად გაუადვილებს ჩვენს საზღვარგერეთელ ამხანაგებს ბრძოლის წარმოებას ახალი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რემედასის მუშაობა ამავე დროს ხელს შეუშლის იმპერიალისტებს იმ გეგმების განხორციელებაში, რომლითაც ისინი ლამობენ საბჭოთა კავშირი წააყენონ ახალი ომის საფრთხის წინაშე.

კაპიტალის საპყრობილეებში მოქცეული პოლიტ-პატიმრები საჭიროებენ თავისუფლებაში მყოფ ამხანაგების, როგორც მატერიალურ ისე მორალურ დახმარებას.

ტფილისი

რემედასის მიერ აღმოჩენილი დახმარება უდიდესი ნუგეშია, არა მარტო ბნელ ჯურღმულებში მოქცეულ ამხანაგებისათვის, არამედ იმათთვისაც კი — ვინც რევოლიუციონურ ბრძოლებში სამუდამოდ დაჰკარგეს ოჯახის მარჩენალი. მატერიალურ დახმარების აღმოჩენით პოლიტ-პატიმართა ოჯახის წევრები ებმებიან რევოლიუციონურ ბრძოლაში, ისინი მომავლისადმი იმედებით აღვსილნი უფრო მხნედ გადაიტანენ ყოველგვარ შევიწროებას და ენერგიულად შეებრძოლებიან თავიანთ კლასობრივ მტერს.

ჩვენს პირობებში, პოლიტ-პატიმრებისადმი მატერიალურ დახმარების აღმოჩენის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციასთან ერთად, რემედასს აქვს კიდევ უფრო მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა—ეს არის მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდა. ჩვენ უნდა ვიღონოთ, რათა მასები რაც შეიძლება მეტი ყურადღებით მოეპყრან რევოლიუციონურ მოძრაობების მსვლელობასა და მის შედეგებს, როგორც კაპიატლისტურ, ისე კოლონიალურ ქვეყნებში.

ამ საქმეში კი რემედასმა უნდა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. ამავე დროს რემედასმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში (საბჭოთა გადარჩევებში, სესხის განაღდებაში, კულტურული რევოლიუციის გაღრმავებაში და სხვ. და სხვ.) ვინაიდან საბჭოთა კავშირის ზრდა და განმტკიცება წარმოადგენს უდიდეს ნუგეშს საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, ის იმედებს ულვიძებს რევოლიუციონურ მუშათა კლასსა და გლეხკაცობას.

კვირეულის განმავლობაში გაძლიერებული და გაღრმავებული უნდა იქნეს რემედასის მიერ წამოწყებული ყოველგვარი ხასიათის წამოწყებანი მშრომელთა ფართე მასებში.

კვირეულის ჩატარების ძირითად ამოცანად მიჩნეულია — რემედასის რიგებში მშრომელთა ფართე მასების ჩაბმა, ინტერნაციონალური ერთსულოვნების გრძნობის გაღრმავება რემედასის საზღვარგარეთელ მოძმე ორგანიზაციებთან, პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაფართოება და ამ მხრივ უკვე მიღწეული შედეგების ორგანიზაციულად განმტკიცება. ამავე დროს კვირეულის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომაგრებულ ციხეებთან საშეფო მუშაობის გაძლიერებას, ორგანიზაციის მატერიალურ ღონისძიების განმტკიცებას პატიმრებისადმი დახმარების აღმოჩენას, საწევრო დავალიანებათა ლიკვიდაციის ლოზუნგების ქვეშ.

აღნიშნული ამოცანების ცხოვრებაში გატარებით ჩვენ ვადასტურებთ იმ გარემოებას, რომ რემედასი არის ერთად-ერთი ინტერნაციონალური ერთსულოვნების გამომსახველი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს იზრუნოს საერთაშორისო მუშათა კლასის დასახმარებლად, რათა ამით ხელი შეუწყოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის დაჩქარებას.

რემედასის მონაწილეობა საბჭოების გადარჩევებში

საბჭოების გადარჩევას უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენს სინამდვილეში. გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობის მიღებით მშრომელი მასები ებმებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში. ამავე დროს მშრომელი მასები ფართედ ეცნობიან სახელმწიფოს აპარატის მოქმედებას და შეფასებას აძლევენ მის მიერ წარმოებულ მუშაობას. ამ მეტად დიდი მნიშვნელოვან კამპანიაში მონაწილეობის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩება რემედასი.

რეინ-ვესფალდის ოლქის მელითონეთა ლოკაუტის გამო. სურათზე — ლოკაუტგამოცხადებულ მუშების ბავშები.

რემედასის მორიგ და უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში ჩააბას თავისი ორგანიზაციის წევრთა მასა მთელი ასი პროცენტით, რაც უფრო აქტიურად იქნებიან მშრომელი მასები ჩაბმულნი საბჭოთა გადარჩევების კამპანიაში, იმდენად უფრო გამტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურა, მით უფრო ჩქარი ნაბიჯით წინ წავსწევთ ჩვენ ჩვენი სოციალისტური ქვეყნის აღმშენებლობას.

რემედასი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, რომლის მიზანია ყოველგვარი მატერიალური და მორალური დახმარება აღმოუჩინოს ბურჟუაზიულ ქვეყნების საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს. მარტო ამით არ ამოიწურება რემედასის მუშაობა რემედასის მნიშვნელობა, გაცილებით უფრო დიდი ამოცანები აქვს მას დასახული. ის უმთავრესად აწარმოებს მშრომელ მასების ინტერნაციონალურად აღზრდას.

შემცდარნი არიან ის ამხანაგები, რომლებიც ფიქრობენ თითქოს რემედასი თავის მუშაობას განსაზღვრავდეს მხოლოდ პოლიტ-პატიმართა დასახმარებლად მატერიალურ ღონისძიებათა გამონახვით. ეს არ არის მართალი. ის ფაქტი, რომ რემედასი დღიდან თავისი დაარსებისა თანდათან იჭრება მშრომელთა ფართე ფენებში და აძლი-

ერებს კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასთან მტკიცე ერთსულოვნების იდეას, მეტყველებს იმის შესახებ, რომ რემედასმა ნაწილობრივად უკვე შეასრულა თავისი რევოლიუციონური მოვალეობა საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე.

რემედასი ვალდებულია აქტიურად ჩაებას პირველ მუშურ-გლეხურ სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის აღმშენებლობაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის მტკიცე საძირკველს. „ყოველი რემედასელი აქტიურად უნდა ჩაებას საარჩევნო კამპანიაში“, — ასეთია ჩვენი ლოზუნგი.

მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარებულმა რემედასის საქართველოს ცეკას პლენუმმა ამ საკითხს მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და მთელ რიგ პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა შორის თავის რეზოლიუციაში გადაჭრით აღნიშნა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობა.

ამ მხრივ რემედასის ორგანიზაციას ცოტაოდენი პრაქტიკა აქვს საბჭოთა რუსეთში, მაგალითად გასულ წელს მოსკოვის ორგანიზაციამ მოუწოდა თავის წევრებს აქტიურად ჩაბმულიყვნენ საბჭოების გადარჩევის კამპანიაში, რასაც ერთსულოვნათ გამოეხმაურა რემედასის მასა. ჩვენშიკი. საქართველოში, რემედასი პირველად ღებულობს მონაწილეობას ამ კამპანიის ჩატარებაში და უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ორგანიზაციები ადგილებზე ღირსეულად შეასრულებენ ამ ამოცანას.

საბჭოების გადარჩევებში რემედასის მონაწილეობა სამ საფეხურათ უნდა დაიყოს.

პირველი საფეხური უნდა გამოიხატოს შემდეგში: რემედასის კომიტეტებმა და უჯრედების ბიუროებმა ახსნა-განმარტება უნდა მისცენ თავიან წევრებს, რემედასის საერთაშორისო მიზნებისა და საბჭოთა გადარჩევის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ. ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს ჟურნალ-გაზეთების, წიგნაკების, ადგილობრივ კედლის გაზეთების გამოყენებით, მოხსენებასაუბრების ჩატარებით და სხვ.

წევრებისათვის განმარტება-ინსტრუქციის მიცემის მიზნით საჭიროა მოწვეულ იქნეს აქტივის თათბირები, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს რემედასის მონაწილეობის საკითხი საბჭოების გადარჩევებში.

მეორე საფეხური კი მდგომარეობს იმაში, რომ რემედასის კომიტეტებმა და ბიუროებმა უნდა გამოყონ სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რათა მიავლინონ ისინი საამომრჩევლო კომისიების განკარგულებაში, უკანასკნელებმა კი გამოყოფილი ამხანაგები უნდა გამოიყენონ საბჭოების გადარჩევებისათვის წინასწარ მოსამზადებელ მუშაობაში.

ამ მიზნით რემედასელებმა უნდა ჩაატარონ ინდივიდუალური საუბრები, გაავრცელონ სათანადო ლიტერატურა, სიტყვით უნდა გამოვიდნენ საარჩევნო კამპანიის ჩატარეის დროს, მონაწილეობა უნდა მიიღონ კედლის გაზეთებში, სათანადო მასალებით უნდა შეავსონ რემედასის არსებული კუთხეები, ხოლო სადაც ასეთები ჯერ არ არის, იქ უსათუოდ უნდა ჩამოყალიბდეს. დღემდის არსებული რემედასის საგიტაციო-საპროპაგანდო ფორმები მთელი ასი პროცენტით უნდა იქნეს გამოყენებული ამ მუშაობის ღირსეულად ჩატარებისათვის.

მუშათა გვარდიის ერთ-ერთი ჯგუფი შანჰაიში.

ამ მუშაობის ჩატარების დროს ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, თუ რა დამოკიდებულება აქვს საარჩევნო კამპანიას საერთაშორისო მდგომარეობასთან და — პირიქით. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოთარეშე თეთრი ტეროორისა და კლასობრივი იუსტიციის საქმიანობას ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ საბჭოთა რესპუბლიკების შინაური მდგომარეობა, სადაც მშრომელი მასები უშუალოდ მონაწილეობენ ხელისუფლების საარჩევნო კამპანიებში.

არა ნაკლები სარგებლიანობას მოიტანს საარჩევნო კრებებზე პოლიტ-ემიგრანტების გამოსვლა, რომლებმაც თავიანთ სიტყვაში უნდა დაახასიათონ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მებრძოლ მუშათა კლასის მდგომარეობა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებულ კლასთა ბრძოლის მონაწილეთა მოგონებითი მოხსენებებს უდიდესი იმედისა და ხალისის გამოწვევა შეუძლია მშრომელ მასებში.

საგიტაციო მუშაობის ჩატარებასთან ერთად რემედასელები ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ საბჭოების ძველი შემადგენლობის საქმიანობის შეფასებასა და ახალისათვის მისაცემი ნაკაზის დამუშავებაში. ასეთი ცოცხალი მონაწილეობით რემედასელებს შეუძლიათ უდიდესი ხალისი შეიტანონ საბჭოთა ორგანოების მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში.

მესამე საფეხურათ უნდა ჩავთვალოთ რემედასელების პრაქტიკული მონაწილეობა თვით საარჩევნო კამპანიებში.

საბჭოების გადარჩევების კამპანიაში რემედასი უნდა მოქმედებდეს პარტიულ ორგანიზაციებთან სრული შეთანხმებით და არავითარ შემთხვევაში მის გამოსვლას არ უნდა მიეცეს განკერძოებული ხასიათი, როგორც ცალკე ორგანიზაციისა, პირიქით მისი მონაწილეობა მთლიანათ გათქვეფილი უნდა იქნეს საერთო მუშაობაში.

ალ. ჭოიავა.

რემედასის ორგანიზაციების უახლოესი ამოცანები საქართველოში

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობა დღითი-დღე ვითარდება და მტკიცდება. კომუნისტური პარტიის 15-ე ყრილობის მიერ წამოყენებული კულტურულ რევოლიუციის ამოცანებს უკვე ხორცს ასხამს საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი.

საბჭოთა კავშირის განვითარებასთან ერთად მსოფლიო ბურჟუაზია რაზმავს ჩვენდამი მტრულად განწყობილ რიგებს. ისინი შავ ღრუბელივით იკრიბებიან პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ირგვლივ, რათა ახალი საფრთხის წინაშე წააყენონ საბჭოების დიდი ქვეყანა. ეს გარემოება ჩვენს წინაშე აყენებს საკითხს მშრომელ მასებში აღმზრდელობით მუშაობის გაღრმავების აუცილებლობის შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში წარმოებულ იქნეს მასების კულტურულ-პოლიტიკური მომზადება. უამისოდ რემედასი ვერ განახორციელებს იმ ამოცანებს, რომლისთვისაც ის მოწოდებულია ისტორიულად.

„სოციალისტების წინააღმდეგ კანონის“ გამოცემის 50 წ. თავზე რევოლიუციის ვეტერანების მიერ მოწყობილი საზეიმო საღამო ბერლინში.

მიუხედავათ იმისა, რომ რემედასს უკვე საკმაო ისტორია აქვს საქართველოში, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენში შემჩნეულია მასსიურ აღმზრდელობითი ხასიათის მუშაობის ნაწილობრივი შენელება, ზოგან კი სამწუხაროთ მას სავალდებულოთაც არ სთვლიან ჩვენი ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელები.

ამ გარემოებას ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია. მან აღნიშნა, რომ მასიურ-პოლიტიკური მუშაობა არ უნდა ჩამოუვარდეს რემედასის სხვა ხასიათის მუშაობას, უკანასკნელი კი უნდა გამომდინარეობდეს პარტიისა და ხელისუფლების მიმდინარე ამოცანებიდან. ბურჟუაზიულ ქვეყნების პოლიტ-პატიმართათვის მატერიალურ დახმარების ღონისძიებებს წინ უნდა უძღოდეს ფართე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, ასე, რომ როცა მშრომელს თავისი წვლილი შეაქვს რემედასის ორგანიზაციაში, ის დარწმუნებული უნდა იყოს იმით, თუ რას აკეთებს საერთაშორისო რევოლიუციის საქმისათვის.

აღმზრდელობითი მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რემედასის აქტივის მომზადებას. ყოველმხრივად ხელი უნდა შეეწყოს აქტივის ჩამოყალიბებას, უნდა შეეცადოთ აქტივის პოლიტიკური დონის ამაღლებას. ამისათვის კი რემედასის ხასიათის მთელი რიგი საკითხები შეტანილ უნდა ქნეს ერთიან პარტ-კომკავშირულ პოლიტ-ცოდნის სკოლების პროგრამაში. საჭიროა აგრეთვე ეხლავე ჩამოყალიბებული იქნეს სპეციალური წრეების ნებაყოფლობითი ნიადაგზე, თვითგანვითარებითი მუშაობის შემოღება და სხვა. მასიურ პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას და თეთრი ტეროორის თარეშს კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში.

ამ მუშაობის წესიერად ჩასატარებლად საჭიროა ისეთი ფორმები და მეთოდები გამოინახოს, რომლებიც სავსებით უპასუხებენ რემედასის მასების მოთხოვნილებას. რემედასის ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ მომავალში თავიანთ გარშემო დარაზმონ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი მშრომელი მასები და გააჩაღონ მათში მუშაობა. ამ მიზნისათვის მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაცია, მუშაობა წრეებში, კუთხეებში და სხვა.

სამწუხაროდ აქვე უნდა ავღნიშნოთ ერთი გარემოება. სახელდობრ არამც თუ ჩვენს მასას, აქტივსაც კი ვერ შეუგნია, რომ რემედასის მიზანი არ გამოიხატება მარტო უცხოეთის პოლიტ-პატიმართა დასახმარებლად ღონისძიებათა გამონახვაში. ამიტომ როგორც ზემოთ ავღნიშნეთ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასების ინტერნაციონალური თვალსაზრისით აღზრდას. ამ საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა საშეფო ციხეებსა და უცხოეთის რემედასის მოძმე ორგანიზაზიებთან გაბმული იქნეს მჭიდრო კავშირი. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი ყოველდღიურად უნდა ეცნობოდეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარიატის მიერ წარმოებულ რევოლიუციონურ ბრძოლისა და პატიმრობის მძიმე პირობებს. ამ საქმეში საშეფო მუშაობას უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს.

ამ მხრივ ბევრ ჩვენს ორგანიზაციებში თვალსაჩინო არაფერი გაკეთებულა. უკანასკნელ ხანებში რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებულია სათანადო ზომები, რასაც უნდა მოჰყვეს დამაკმაყოფილებელი შედეგები.

რემედასის აღმზრდელობითი მუშაობა მთელი თავისი შინაარსით უჯრედებთან უნდა სწარმოებდეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ არა მარტო წევრთა აღზრდას, არამედ ჯერ

სრულიად ჩამოუყალიბებელ მშრომელ მასებშიაც შეიჭრას რემედასის იდეა.

საჭიროა ამავე დროს სერიოზული ყურადღება მიექცეს სოფლად მუშაობის მოგვარებას, რაც უნდა სწარმოებდეს უმთავრესად ქოხ-სამკითხველოებში, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს სოფლად. ამ მუშაობაში მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს სოფლის ინტელიგენცია და შვებული წითელ არმიელები. სოფლის უჯრედებზე უნდა იქნან მიმაგრებულნი ქალაქის უჯრედები. სოფლად, ქოხ-სამკითხველოებში შემოღებულ უნდა იქნეს რემედასის ლიტერატურის ხმამაღალი კითხვა.

ჩვენ უნდა შევსძლოთ გლეხობის მთელი ასი პროცენტით ჩაბმა რემედასში, რათა ყოველი გლეხი აქტიური მონაწილე გახდეს იმ დიდი საქმისა, რომელსაც რემედა ი აწარმოებს.

ქალთა და ახალგაზრდობას შორის მუშაობა ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს ჩვენს ორგანიზაციებში, ამას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ქალთა სადელეგატო კრებები.

ჩვენს მუშაობაში მაქსიმალურად უნდა იქნეს ჩაბმული ახალგაზრდობა. რემედასის მიერ ჩატარებული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს განსაკუთრებით კომკავშირის უჯრედის აქტიური მონაწილეობით.

საჭიროა მუშაობის გაფართოება აგრეთვე ბავშთა შორის. ეს მუშაობა უმთავრესად უნდა ჩატარდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობის შრომის პირობების ირგვლივ გამართულ საუბრების სახით.

ჩვენ ვალდებულნი ვართ ამავე დროს გადავხედოთ ჩვენს მოქმედებას და შევაფასოთ ის ღირსეულად. ამისათვის კი საჭიროა ჯანსაღი, ამხანაგური კრიტიკის გაცხოველება. ჩვენ აშკარად და მოურიდებლად, კომუნისტური პირდაპირობით უნდა ვაღიაროთ ჩვენს მუშაობაში შემჩნეული უარყოფითი მხარეები და ენერგიულად უნდა შეუდგეთ მის საბოლოოთ გამოსწორებას მომავალში. ჩვენ მხოლოდ ამ გზით შევსძლებთ იმ დიადი ამოცანების აღსრულებას, რომელსაც ისახავს რემედასი.

მიხ. ცქვიტინიძე.

რემედასის საქ. ცენტ. კომიტეტის მეორე გაფართოებული პლენუმის დელეგატები.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში რეაქციის ზრდა ჩვენ გვავალებს გავაძლიეროთ პოლიტ-პატიმართა დახმარება.

რემედიის პრესის სამდღიური

რემედასმა თავის არსებობის განმავლობაში უდიდესი პოპულიარობა მოიპოვა მთელს მსოფლიოში. არც ერთ ნებაყოფლობით ორგანიზაციას არ გამოუწვევია იმდენი სიმპატია და სიყვარული მშრომელ მასებში რამდენიც მან დაიმსახურა.

ეს არ არის შემთხვევითი მოვლენა. რემედასი უაღრესად რევოლიუციონური ორგანიზაციაა, რომელიც წარმოშვა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ, ამიტომ შეუძლებელი იყო მას არ გამოხმაურებოდა საერთაშორისო პროლეტა-

„სოციალისტების წინააღმდეგ კანონის გამოცემის“ 50 წლის შესრულების გამო ბერლინის ქუჩებში კომუნისტებმა მოაწყვეს გრანდიოზული დემონსტრაცია.

რიატი. ეს ასეც მოხდა და ჩვენ ვხედავთ, რომ რაღაც ექვსიოდე წლის განმავლობაში მისი ორგანიზაციებით მოიფინა, როგორც დასავლეთის დიდ სამრეწველო ქალაქები ისე შორეულ აღმოსავლეთისა და კოლონიალურ, თუ ნახევრად-კოლონიალურ ქვეყნების ყველა მივარდნილი კუთხეებიც კი.

რემედასი არ არის ფილანტროპიული ორგანიზაცია, როგორც ეს ჰგონია ზოგიერთებს. რემედასი არ აწარმოებს მარტო პოლიტ-პატიმართა დახმარების საქმეს. მას უფრო დიდი ამოცანა აქვს დასახული, რომელსაც ის დაუღალავად აწარმოებს მთელი იქვსი წლის განმავლობაში.

რემედასი ღირსეულად სდგას ჩვენი ეპოქის სიმაღლეზე და კომპარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული აწარმოებს საერთაშორისო მუშათაა კლსში მტკიცე ერთსულოვნების გაძლიერაბასა და მისი აღზრდას ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით.

ყველგან, სადაც არსებობს შეურიგებელი ბრძოლა კაპიტალსა და შრომას შორის, სადაც არსებობს დაჩაგრული და მჩაგვრელი, ექსპლოატატორი და ექსპლოატაციაქმნილი — რემედასს გაშლილი აქვს სამოქმედო ასპადეზი.

რემედასი აწარმოებს კაპიტალისტურ სამყაროს ყველა ბნელ კუნჭულების დღის სინათლეზე გამოფენას, რათა აშკარად დაანახვოს მშრომელ კაცობრიობას მთელი ის საზიზღრობა, რომელსაც სჩადიან ბურჟუაზიის ყურმოჭრილი, ერთგული ნაძირალები: ფაშისტები, თეთრი ტერორის სულის ჩამდგმელი ჯალათები, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები და სხვ. მრავალი ჯურის ვიგინდარები.

ექვსი წელიწადია რაც რემედასი ერთგულად და მტკიცედ დგას ამ მეტად საპასუხისმგებლო სადარაჯოზე. ის სასტიკ პროტესტებს უცხადებს კაპიტალის დამცველ ჯალათების სისხლიან საქმიანობას, რომლებიც განუკითხავად, უპასუხისმგებლოდ ანადგურებენ რევოლიუციონურ პროლეტარიატის განმათავისუცლებელ მოძრაობას.

ამ მუშაობის ჩატარებაში რმედასის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღად უნდა ჩაითვალოს ბეჭვდითი სიტყვა, ვინაიდან მხოლოდ ამ უკანასკნელის საშვალებით რემედასი ნათელ შუქს ჰფენს კაპიტალისტურ და ე. წ. „დემოკრატიულ“ ქვეყნების მესვეურთა ვერაგობას, რომელიც სწარმოებს ამ ქვეყნების ბნელ კულისებში.

თუმცა ამავე მიზანს ემსახურება არა მარტო რემედასის, არამედ მთელი ქვეყნის მუშური პრესა, მაგრამ სულ სხვაა რემედასის როლი ამ მხრივ, ვინაიდან ის მეტად დაინტერესებულია ყოველდღიურად თვალყური ადევნოს განსაკუთრებით პოლიტ-პატიმართა მდგომარეობას — საპყრობილეებში, გადასახლებულთა ცხოვრების პირობებს შორეულ კუნძურებზე, მათ უპატრონოდ მიტოვებულ ოჯახის წევრებს და იმ შეუბრალებელ შურისძიებას, რომელსაც ბურჟუაზია აწარმოებს მებრძოლ პროლეტარიატის გასანადგურებლად. ამრიგად, თუ საერთოდ პროლეტარული პრესა ემსახურება მთლიანად საერთაშორისო მუშათა კლასის მდგომარეობის გადმოცემას, რემედასს ამასთანავე ერთად მეორე ღირსეული ამოცანა აქვს, როგორც ავღნიშნეთ ეს მდგომარეობს იმაში, რომ არაფერი დარჩეს დაუნახავი კაპიტალის სამფლობელოში, რომელიც რაიმე ზიანს აყენებს საერთაშორისო ოქტომბირს მოახლოვებას.

საჭიროა ყველა იმ წამება დამცირება და მკვლელობათა გამოტანა პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე, რომელსაც თითქმის ყოველ საათში აქვს ადგილი კაპიტალისტურ ქვეყნების არა მარტო ციხე-სიმაგრეებში, არამედ ქუჩის ყოველ მოსახვევშიც კი. ამავე დროს საჭიროა ბურჟუაზიულ, კლასობრივი იუსტიციის საზიზღარი კომედიის გადმოშლა პროლეტარულ მასების წინაშე.

ყველა ამ ამოცანებს პირნათლად ასრულებს რემედასი თავის პრესის საშუალებით. ამ მხრივ დღემდის ძალიან ბევრი გაკეთდა; მეექვსე წელია რაც რემედასს აქვს თავისი პერიოდული ორგანო ჟურნალი „რ.ე მ ე დ ა ს ი“ მეექვსე წელია, რაც ჩვენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასსა და გლეხკაცობას ცოცხალ სურათს ვაძლევთ კაპიტალისტურ ქვეყნებში მებრძოლ პროლეტარიატის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი და მოსაგვარებელი.

რემედასის ორგანო ფართედ უნდა ვრცელდებოდეს მშრომელ მასებში. ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ი“ უნდა იკითხებოდეს ყველგან, სადაც შრომობს და ისვენებს მუშა, მშრომელი ინტელიგენცია და გლეხკაცობა. რემედასი ფართედ უნდა იქნეს გავრცელებული: ფაბრიკა-ქარხნებში. ღაწესებულებებში, სკოლებში, წითელ-არმიელთა ყაზარმებში, გლეხთა სასახლეებში ჩამოსულ გლეხებთან. სოფლად ქოხ-სამკითხველოებში და სხვ.

მიუხედავად იმისა, ოომ ეს ამოცანა ახალი არაა, და რემედასი კარგა ხანია, რაც მოუწოდებს ადგილებს ამ მუშაობის მოგვარებისაკენ ამკარად უნდა ითქვას, ოომ ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაციები ამას ჯეროვანი ყურადღებით არ ეკიდებიან.

რემედასის პრესის გავრცელებას, ისე, როგორც ორგანიზაციულ საქმეებს რატომღაც ისინი „ს ხ ვ ა თ ა შ ო რ ი ს“ უყურებენ. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს ის ფაქტი, ოომ რემედასის საქმეებისადმი ასეთი გულცივი მიდგომა ორივე შემთხვევაში დანაშაულს უდრის, რაც ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილი უნდა იქნეს.

წარმოუდგენელია რემედასის ორგანიზაციული და სხვა სახის მუშაობის ნაყოფიერად ჩატარება, თუ საagიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, ოომელიც მასების ინტერნაციონალურად აღზრდის მთავარი პირობაა, არ იქნება სათანადო სიმაღლეზე დაყენებული.

ამ მხრივ ადგილები ჯერ-ჯეროობით საკმაოდ ვერ მოქმედებენ, ეს საკითხი ისევ მოუგვარებელი დარჩა დღემდის

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, ოომ ადგილებზე ძალიან ხშირად აქვს ადგილი ჩვენი ლიტერატურის დაგროვებას. ის არაა მასაში გატანილი და გავრცელებული. არ უნდა დავივიწყოთ, ოომ ამ ლიტერატურის გამოცემას საგრძნობი თანხა სჭირდება და თუ ის მიზანს ვერ მიაღწევს, თუ ის არ იქნება საკმაოდ გავრცელებული მშრომელ მასებში, მასზე დახარჯული ენერგია და თანხა უქმად უნდა ჩაითვალოს, რაც ყოვლად დაუშვებელია. ადგილებზე დღემდის ლიტერატურის უდიდესი დავალიანება ირიცხება. საჭიროა ვიზრუნოთ მისი დაფარვის შესახებ. ადგილებმა მხედველობაში უნდა მიიღონ ეს გარემოება და კამპანიის ჩატარების დროს მთლიანად უნდა გაავრცელონ დაგროვილი ლიტერატურა. ამას უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება, რათა მომავალ 1929 წ. საგამომცემლო პერიოდში ჩვენი მუშაობა გეგმიანად წარვმართოთ.

მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარებულმა, რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის გაფართოებულმა პლენუმმა ამ საკითხს მიაქცია უდიდესი ყურადღება და თავის რეზოლიუციაში გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, ოომ ჩვენი ბეჭვდითი საქმე ღირსეულ ნიადაგზე იქნეს დაყენებული.

დროა ადგილებმა ცხოვრებაში გაატარონ ეს დადგენილება. ამ მიზნით საზამთრო კამპანიის ჩატარების დროს ადგილებზე ტარდება რემედასის პრესის სამდღიური, ოომლის მიზანია გაძლიეროს ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ზ ე“ ხელის მოწერა. მოხსენებებზე ხაზი უნდა გაესვას რემედასის პრესის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მასების ინტერნაციონალურად აღზრდის საქმეში.

ჩეხო-სლოვაკიაში სააღმშენებლო კატასტროფის დროს დაღუპულთა დაკრძალვა გადაიქცა ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატის გრანდიოზულ დემონსტრაციად. სურათზე კომუნისტებს მიაქვთ გვირგვინი, ოომლის ლენტებზე აწერია: „კაპიტალიზმი ხოცავს მუშებს. პროლეტარიატის დიქტატურა კი ანთავისუფლებს მათ“.

ამ ამოცანის განსახორციელებლად ადგილებზე გამოყოფილი უნდა იქნეს: წიგნის დამტარებლები, ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ი ს“ მეგობართა წრეები, კორესპოდენტთა კადრები, ოომლებიც სისტემატიურად მიაწვდიან „რ ე მ ე დ ა ს ი ს“ რედაქციას ცნობებს ადგილებზე მუშაობის შესახებ, რითაც ცენტრს საშვალება მიეცემა დროზე მიაქციოს ყურადღება მუშაობის იმ დეფექტებს, ოომელიც ხელს შეუშლის ნაყოფიერ შედეგების მიღებას.

რემედასის კვირეულმა უნდა გააძლიეროს ჟურნალზე ხელის მომწერთა რაოდენობა, რათა ცეკას საშვალება მიეცეს სისტემატიურად და თავის დროზე მიაწოდოს მასებს საინტერესო მასალები საერთაშორისო მებრძოლ პროლეტარიატის მდგომარეობის შესახებ.

ჩვენ გვჯერა, ოომ ადგილები ერთსულოვნად გამოეხმაურებიან ჩვენს მოწოდებას და ღირსეულად გაატარებენ მას ცხოვრებაში.

„არ ც ე რ თ ი რ ე მ ე დ ა ს ე ლ ი ა რ უ ნ დ ა დ ა რ ჩ ე ს ს ა მ დ ღ ი უ რ შ ი ა ქ ტ ი უ რ ი მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ი ს მ ი ღ ე ბ ი ს გ ა რ ე შ ე“, აი ჩვენი ლოზუნგი.

პოლიო აბრამია.

ჩ ვ ე ნ ი ს ა შ ე ფ ო მ უ შ ა ო ბ ა

ზედმეტია მტკიცება იმისა, ოომ საშეფო მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთოდ რემედასის მოღვაწეობაში. დღეს, ოოდესაც რემედასის ორგანზაციებით მოფენილია მთელი ქვეყნის ყველაზე მივიწყებული კუთ-

ხეებიც კი — რემედასმა ერთი-ორად უნდა გააძლიეროს თავისი ნაყოფიერი მუშაობა.

რემედასი მიზნათ ისახავს მთელი ქვეყნის მებრძოლ პროლეტარიატის მტკიცე რიგებათ დარაზმვას, მშრომელთა ფართე მასებში ინტერნაციონალურ ერთსულოვნების იდეის განმტკიცებას, რათა ამით ხელი შეუწყოს საერთაშორისო დიადი ოქტომბრის მოახლოვებას. ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამოცანასთან ერთად ის მატერიალურ დახმარებასაც უწევს, როგორც იმპერიალისტურ ყაჩაღების შემოტევის დროს დაღუპულ და დაპატიმრებულთა ოჯახის წევრებს, ისე თვით პატიმრებსაც კი, რომლებიც მოკლებულნი არიან აქტიურ ბრძოლის საშვალებას და ქვის გალიაში ჰყავს გამოკეტილი ბურჟუაზიას.

კლაუზენბურგში ჩატარებულ პროცესის დროს ბრალდებულთა ერთ-ერთი ჯგუფი.

ჩვენ ვიცით, რომ რემედასი მთელი თავისი შესაძლებლობით ხელს უწყობს ამ რევოლიუციონერთა სიცოცხლის შენარჩუნებას. საჭიროების დროს, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე იმპერიალისტურ ქვეყნებშიაც, სადაც ასე თუ ისე ლეგალურ პირებებში მოქმედობს ეს ორგანიზაცია, ის აწყობს საპროტესტო დემონსტრაციებს, ხელს უწყობს მშრომელ მასების დარაზმვას კომპარტიის დროშის ქვეშ, ეხმარება მათ მატერიალურათ და სხვ.

ქვემოთ ჩვენ მთლიანათ მოგვყავს ვენის საპყრობილიდან რემედასის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის სახელზე მიღებული პოლიტ-პატიმართა წერილი. აი რას იწერებიან ისინი:

„ა. ს. ს. რ. ყველა პროლეტარებს. მოახლოვდა დიადი ოქტომბრის წლის თავი, რომელსაც თქვენ საბჭოთა ქვეყნის ძმებო უკვე დღესასწაულობთ მეთერთმეტეჯერ და სიხარულით და სიამაყით შეჰყურებთ თქვენ უდიდეს მიღწევებს, რომელიც თქვენ მოიპოვეთ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

თქვენთან ერთად ჩვენც ვდღესასწაულობთ ამ დღეს, მაგრამ გახრწნილი კაპიტალიზმის ქვეყანაში ჩვენი ზეიმი ვერ შეედრება თქვენსას.

ჩვენ ყველა ქვეყნებიდან გვერეკება ბურჟუაზიული დემოკრატიის მმართველი კლასი. მრავალი საუკეთესო რევოლიუციონერი ამხანაგები იტანჯებიან ბნელსა და ნესტიან ჯურღმულებში. გამყიდველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადების დახმარებით ფაშიზმი მძვინვარებს ჩვენს ქვეყანაში. მთავრობის სამხედრო მოხელეები არჩევენ ჩვენს ორგანიზაციებს, გვიკრძალავენ კრებების მოწვევას და სხვ., მაგრამ ჩვენ მაინც მხიარულად ვებრძვით მათ და ვდღესასწაულობთ ამ უდიდეს დღეს—ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავს, ვინაიდან ჩვენ გვამოქმედებს ერთი გრძნობა და ერთი მისწრაფება.

ჩვენ დავსძლევთ ყოველგვარ დევნასა და დამცირებას, გამარჯვებისა და ბრძოლის მონაწილენი ჩვენცა ვართ. თქვენთან ერთად ვიბრძვით საერთაშორისო პროლეტარიატის კეთილდღეობისთვის.

ჩვენ ერთად ვიბრძვით მთელს მსოფლიოში ლენინის ანდერძის განსახორციელებლათ და საერთაშორისო ოქტომბრის მოსაპოებლათ.

ს. ს. რ. კ. მუშებო, მაგრათ გეპყრათ ხელში იარაღი, დაიცავით საბჭოთა ხელისუფლება, მტრები ემზადებიან თავდასხმისათვის, თქვენი ვალია აღგავოთ მიწის პირიდან კოშკი მონობის საპყრობილე, საერთაშორისო კაპიტალიზმი, თუ კი ისინი შეეცდებიან ახალ საერთაშორისო ომის ქარცეცხლის ხელმეორედ დანთებას. ისწავლეთ და განაგრძეთ საერთაშორისო პროლეტარიატის უდიდესი სიმაგრის ს. ს. რ. კ. შენება და განმტკიცება.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულზე მიიღეთ ჩვენი უგულითადესი და მხურვალე სალამი, გახსოვდეთ, რომ ავსტრიის რევოლიუციონური პროლეტარიატი, ყოველთვის მზადაა ბრძოლების დასაწყებათ, კაპიტალიზმის კედლების დასანგრევად.

გაუმარჯოს კომინტერნს, გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს!

გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბრისათვის ბრძოლას!.

ხელს აწერენ შემდეგი ორგანიზაციები:

ავსტრიის კომპარტიის ც. კ. (კომინტერნის სექცია).

ავსტრიის კომკავშირის ც. კ. ახალგაზრდა, წითელი პიონერები.

მუშათა გვარდიის ცენტრალური შტაბი (ყოფ. წით. ფრ. კავშირი).

ავსტრიის ესპერანტების კომუნისტური ფრაქცია.

ავსტრიის კომპარტიის ც. კ. ქალთა განყოფილება.

წითელ სპორტინტერნის კომფრაქცია.

წითელ პროფინტერნის კომიტეტი.

ავსტრიის რემედასის ც. კ.

ავსტრიის საერთაშორისო მუშათა დახმარება.

გაზეთ „როტე ფანეს“ ადმინისტრაცია.

სოციალისტურ სტუდენტების თავისუფალი გაერთიანება.

ედლერი და კომ მანქანების დამამზადებელი ქარხნის მუშათა საბჭო.

პეტრევიჩისა და კომპ. მექანიკური ქარხნის მუშათა საბჭო“.

ქ. ვენა (ავსტრია).

ოქტომბერი 1928 წ.

ისტორიული თარიღი

(რემედასის დაარსების 6 წლის გამო).

მიმდინარე წლის ნოემბრის 30 შესრულდა სრული 6 წელიწადი რემედასის დაარსების შემდეგ. ექვსი წლის წინად კომუნისტური ინტერნაციონალის IV კონგრესსზე ამხ. მ ი ხ ე ი ლ ი უ რ ი ს-ძ ე მ ა რ ხ ლ ე ვ ს კ ი ს თავმჯდომარეობით, გამოცხადებულ და მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იწონებდა და მხურვალედ ესალმებოდა „ძ ვ ე ლ ბოლშევიკთა საზოგადოების“ თაოსნობით რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსებას. რეზოლიუცია წაკითხულ იქნა ამხ. ფ ი ლ ი ქ ს კ ო ნ ი ს მიერ.

ამ ექვსი წლის განმავლობაში რემედასის ორგანიზაცია ამაყად ატარებდა საერთაშორისო ოქტომბრის წითელი ზურგის სახელწოდებას და ღირსეულ დახმარებას უწევდა, როგორც ზნეობრივად, ისე მატერიალურად კაპიტალის პატიმრებს. ამ ხნის განმავლობაში რემედასი მრავალმილიონიან ორგანიზაციად გაიზარდა, სადაც ერთი დროშის ქვეშ თავს იყრიან მთელი ქვეყნის მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები. რემედასი თავის წევრთა მასაში აძლიერებს ინტერნაციონალიზმის ერთსულოვნების გრძნობას.



მიხეილ იურის-ძე მარხლევსკი.

რემედასის საკავშირო ცენტრ. კომ. პირველი თავმჯდომარე. მისი გარდაცვალების 5 წლის თავის შესრულების გამო.

რემედასი მთელ მსოფლიოში წარმოადგენს სასტიკ გაფრთხილებას მმართველ კლასის, ბურჟუაზიისა და მათ მიერ დაქირავებულ ჯალათების მიმართ. რემედასმა არა ერთხელ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია საჭიროების დროს მტკიცე რიგებად დარაზმოს მუშათა კლასი თეთრ ტერორთან საბრძოლველად.

ამ უდიადეს საქმეში საკმაო დამსახურება აქვს საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის რემედასელებს, რომლებიც დღე და ღამე ამტკიცებენ საერთაშორისო მუშათა კლასის წითელ ზურგს. ჩვენ უნდა ვეცადოთ მომავალშიაც მაღლა გვეჭიროს რემედასის დროშა, რომელიც სიმბოლოა მსოფლიო მუშათა კლასის ერთსულოვნებისა და საერთაშორისო რევოლიუციის ბრწყინვალე იდეების მოახლოვებისა.

ფ ე ი ქ ა რ თ ა გ ა ფ ი ც ვ ა ქ ა ლ ა ქ ლ ო ძ ში

ბურჟუაზიულ ქვეყნებში პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა თანდათან ძლიერდება. კაპიტალისტური სამყარო, რომელიც საშინელ პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებს უქმნის მშრომელებს, უფრო და უფრო აძლიერებს შეტევას.

ერთი მხრივ თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია მუშათა კლასის ექსპლოატაციამ ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ხოლო მეორეს მხრივ ინტერესთა წინააღმდეგობის საფუძველზე ეს ორი შეურიგებელი ბანაკი გააფთრებული უტევენ ერთი მეორეს. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზია აძლიერებს თავის ბრძოლის უხარიანობას. ის ამისათვის გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. ის თავს ესხმის მუშათა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და ცდილობს დაშალოს და გაანადგუროს ის. ამ საქმეში კაპიტალისტთა ზრახვას ხელს უწყობენ სოციალ-რეფორმისტები. ისინი თავგამოდებით იცავენ ბურჟუაზიულ აპარატს, აძლიერებენ მას ეკონომიურად და პოლიტიკურად.

კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე ხდება ძალთა გადაჯგუფება და ახალ ახალი შეტევები. ამას ადასტურებს მუშაათა კლასის ის მასიური გაფიცვები, რომელსაც ადგილი აქვს კაპიტალისტურ ქვეყნებში. გაფიცვების აგორებული ტალღა ერთი სახელმწიფოდან გადადის მეორეში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით ლოძში დაიწყო ფეიქართა გაფიცვა, რომელიც თან დათან ფართოვდება. გაფიცულია სულ 100.000 კაცი. გაფიცვა მოედო პაბიანიცს, ზგერტს, ფირარდოვს, ზდენკსა ვოლიას, პახიანიცს და სხვა საფეიქრო ცენტრებს.

ტ ფ ი ლ ი ს ი

გაფიცვამ ისეთი ძლიერი ხასიათი მიიღო, რომ ყვითელი პროფკავშირები იძულებულნი არიან გაფიცვას მიეჰხრონ, ვინაიდან პროფკავშირებში შემავალი მუშები სტაქიურად სტოვებენ მუშაობას, კავშირების დადგენილების მიუხედავათ.



გერმანიაში — რურის ოლქში ლოკაუტის გამოცხადების შემდეგ სურათზე — დაცარიელებული ქარხანა ესსენში.

არჩეულია საგაფიცვო კომიტეტები 100 კაცის შემადგენლობით.

ამ მდგომარეობამ ბურჟუაზია დააფრთხო. ის გაფიცულ მუშათა კლასის წინააღმდეგ მიმართულ რეპრესიების გარდა სთხზავს ათასგვარ ჭორებს. ამ გაფიცვებში ბრალს სდებენ საბჭოთა კავშირს, გაძლიერებულია კომუნისტების დევნა და დატუსაღება.

დომბროვისა და კრაკოვის ქვანახშირის რაიონებში მზადდება გაფიცვა. კრაკოვისა და დომბროვის მემალაროების პროფკავშირებმა პრინციპიალურად გადასწყვიტეს გაფიცვის გამოცხადება. საფრანგეთში გაიფიცენ დოკერების ზოგიერთი კატეგორიები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის დღეში 4 ფრანკით გადიდებას. ფერად კანიანმა მეზღვაურებმა ბორდოში უარი განაცხადეს ემუშავათ გაფიცულ დოკერების ნაცვლად.

როგორც მკითხველი ხედავს, პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა თანდათან ძლიერდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მუშათა კლასი წესს აუგებს კაპიტალისტურ სამყაროს *).

ოქტომბრის უქმეების შედეგები უცხოეთში

გერმანია.

გერმანიის კომუნისტური გაზეთები ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავს უძღვნიან მრავალ წერილს, რომელშიაც აღნიშნავენ სოციალისტური მშენებლობის მიღწევებს, პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგში. „როტე ფანე" სწერს:

„ოქტომბრის რევოლიუცია რუსეთში გამოცდა იყო ბოლშევიკებისათვის, გამოცდა, რომელსაც მსოფლიო — ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ასეთივე გამოცდა რეფორმიზმისათვის იყო ნოემბრის რევოლიუცია გერმანიაში. ბოლშევიზმმა მუშათა კლასი მიიყვანა გამარჯვებამდე; მან ბოლო მოუღო ექსპლოატატორებს.

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე და გერმანიის მონარქიის დამხობის ათი წლის თავზე, მთელ გერმანიაში გაიმართა რევოლიუციონური დემონსტრაციები.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავზე საბჭოთა კავშირის საელჩოში გამართულ მიღებაზე დაესწრო: პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების და ხელოვნების რამდენიმე ასეული თვალსაჩინო წარმომადგენლები. დიპლომატიური კორპუსის მხრით დაესწრენ: საფრანგეთის, იტალიის, იაპონიისა და თურქების ელჩები.

საფრანგეთი.

ოქტომბრის 11 წლის თავზე საბჭოთა კავშირის საელჩოში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ: საგარეო საქმეთა მინისტრი და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. მათ შორის გერმანიის და თურქეთის ელჩები, აგრეთვე საზოგადოებრივობის, ვაჭრობის და მრეწველობის წარმომადგენლები, მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწენი. საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა ბრიანის სახელით დოვგალევსკის მილოცვა გადასცა.

ოქტომბრის 11 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოებამ გამართა ზეიმი, რომელსაც დაესწრო 10.000 კაცამდე. ორატორების სიტყვებს და რომენ როლანის მისასალმებელ წერილს დამსწრე საზოგადოება შეხვდა მქუხარე ოვაციით და ძახილით „გაუმარჯოს საბჭოებს".

იტალია

ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა მიღება, რომელსაც დაესწრენ: იტალიის მთავრობის წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, საზოგადო მოღვაწეები, აგრეთვე იტალიისა და უცხოეთის ჟურნალისტები.

ავსტრია.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ოქტომბრის 11 წლის თავის აღსანიშნავად მოხდა

---

*) ტეხნიკური დაბრკოლებათა გამო წერილი დაგვიანებით იბეჭდება.

რედ.

მიღება, რომელსაც დაესწრნენ: დიპლომატიური კორპუსის ავსტრიის მთავრობის მრავალი წარმომადგენელნი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, სავაჭრო-სამრეწველო წრეების, ბანკების და ავსტრიაში მყოფ უცხოეთის პრესის წარმომადგენლები, სულ სამასამდე კაცი.

ლატვიაში.

7 ნოემბერს რიგასა და ლატვიის სხვა ქალაქებში მოხდა ნაწილობრივი გაფიცვები. გაფანტეს მრავალი მოწოდება და გამოჰკიდეს ბევრი წითელი დროშა რევოლიუციონური ლოზუნგებით. წითელი დროშები ფრიალებდენ ისეთ ადგილებში, სადაც პოლიციას უძნელდებოდა ასვლა, მაგალითად, საზღვაო სიმაღლეზე, და ქარხანა „პროვოდნიკის“ 70 მეტრის სიმაღლის საკვამლე მილზე.

ლიტვა.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო, ლიტვაში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს მრავალი მოქალაქე, რომლებსაც კომუნისტობა ბრალდებოდათ.

იაპონია.

იაპონიის პრემიერმა ტანაკამ, მთავრობის ყველა წევრებმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა და თანამდებობის მრავალმა პირმა, აგრეთვე საქმიანი წრეები, ლიტერატურის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგების წარმომადგენლებმა მიულოცეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას ოქტომბრის 11 წლის თავის გამო.

თურქეთი.

ანგორაში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოხდა საზეიმო მიღება ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლის თავის გამო. მიღებას დაესწრენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრები და დიპლომატიური კორპუსი.

ამერიკა.

მექსიკიდან მიღებული ცნობით, ოქტომბრის მე-11 წლის თავის დღესასწაული მოწყობილ იქნა. მექსიკის კომპარტიის, კომკავშირის, გლეხთა ნაციონალური ლიგის, მუშათა თავდაცვის ორგანიზაციისა და იმპერიალიზმთან და კოლონიალურ ჩაგვრასთან მებრძოლ ლიგის მიერ. საბჭოთა მოქალაქეების კლუბში, მექსიკაში. გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხსენებებით გამოვიდენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლები. სხდომის შემდეგ დამსწრეთ აჩვენეს „სოვკინო“-ს სურათი „ოქტომბერი“.

დღესასწაულის გამო სრულუფლებიან წარმომადგენლობაში იყვნენ: მუშათა ორგანიზაციის, გლეხთა ნაციონალური ლიგის და სხვ. დელეგაციები.

მექსიკის კომპარტიამ გამოუშვა პარტიის ორგანოს სპეციალური ნომერი, ოქტომბრის მე-11 წლის თავისთვის მიძღვნილი. მე-11 წლის თავის პატივსაცემად: გერმანიის, ჩინეთის, იტალიის შვეიცის, გონდურასის, სალვადორის, პარაგვაის, ესტონეთის, ურუგვაის და ეკვადორის მისიების შენობებზე დროშები აღმართეს.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობაში გამართულ მიღებაზე, სხვათა შორის, იყვნენ ამერიკის ისეთი ქვეყნების წარმომადგენელნიც, რომელთაც საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობა არა აქვთ.

ოქტომბრის მე-11 წლის თავი იდღესასწაულეს აგრეთვე მექსიკის მრავალ ქალაქში.

სპარსეთი.

ოქტომბრის თერთმეტი წლის თავის აღსანიშნავად, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მოხდა დიდი მიღება, დაესწრნენ: თეირანში მყოფი მთავრობის წევრები, პრემიერის მეთაურობით. დეპუტატები, ჟურნალისტები, ვაჭრები, დიპლომატიური კორპუსი და სხვანი.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც შახთან ერთად იმყოფება შირაზში, სრულუფლებიან წარმომადგენელს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა.

7 ნოემბერს, საღამოთი. საბჭოთა კლუბში შესდგა საზეიმო კრება, რომლის შემდეგ დაიდგა პიესა „რღვევა“.

8 ნოემბერს, დღისით, სრულუფლებიან წარმომადგენლობის პარკში გაიმართა სეირნობა და ფიზკულტურულ-ნების გამოსვლა.

სპარსეთის ყველა ქალაქის საბჭოთა კავშირის საკონსულოებში მოხდა მიღება, რომელსაც დაესწრნენ: ადგილობრივი ხელისუფლება, ვაჭრები და საბჭოთა კოლონიების წარმომადგენლები.

გაზეთებმა „სეტარეე ირან“-მა, „ტუფან“-მა, „ეტტალა“მ და სხვებმა მოათავსეს მეთაური წერილები, რომლებიც ეხებიან ოქტომბრის ისტორიას და მიღწევებს, რომლებით ხაზს უვსამენ, ოქტომბრის რევოლიუციის დამსა-



წითელ-გვარდიელთა შტაბი ჩინეთში.

მიიღო მილოცვა: გერმანიის საელჩოსაგან, ნორვეგიის საქმეში, იმ ხალხების, რომლებიც დაჩაგრულნი იყვნენ მეფის რეჟიმის მიერ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის და სპარსეთის მეგობრობა ყოველ წლიურად მტკიცდება, მიესალმებიან საბჭოთა კავშირის ეკონომიურ ზრდას, რომელიც ხელს უწყობს აღმოსავლეთის ქვეყნების განვითარებას.

ახლად დაარსებულმა კინო-კამპანიამ „ანტი კადიფ"-მა გადაიღო დღესასწაულის ცალკე მომენტები.

ჩინეთი.

ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავზე საბჭოთა კავშირის პეკინის გენერალურმა საკონსულომ მიიღო მილოცვა გერმანიის საელჩოსაგან, ნორვეგიის საქმეთა რწმუნებულისაგან და ნანკინის მთავრობის რწმუნებულისაგან.

როგორც „ნორტ ჩაინა დეილი ნიუზ"-ი იუწყება, 7 ნოემბერს ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავზე ჩინელმა კომუნისტებმა შანხაიში რამდენიმე მიტინგი გამართეს. გაზეთის სიტყვით, კომუნისტებმა ქალაქში გაფანტეს მრავალი პროკლამაცია, რომელშიაც მოუწოდებდნენ ხალხს — შექმნან საბჭოთა მთავრობა, ებრძოლონ გომინდანის მთავრობას, აღადგინონ ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და ებრძოლონ ახალი ომის საფრთხეს. ქალაქის სხვადასხვა ადგილას სააგიტაციო პლაკატებიც იყო გამოკრული.

მონღოლეთი.

ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავის დღესასწაული დაიწყო 6 ნოემბერს საზეიმო სხდომით, რომელსაც დაესწრენ: მონღოლეთის სახალხო პარტიის მეშვიდე ყრილობის დელეგატები და მთავრობის, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, 7 ნოემბერს გაიმართა მონღოლეთის სახალხო არმიის ნაწილების აღლუმი და ორგანიზაციების მსვლელობა.

ლოძის კატორღაში

ლოძში არის საპატიმრო გდანი, — მთელს პოლონეთში ეს საპყრობილე ცნობილია თავისი მოუთმენელი და აუტანელი სასტიკი რეჟიმით. აქ ვიმყოფებით დაახლოებით 115 კაცამდეო, — იწერებიან პოლიტ-პატიმრები.

ამხ. **კასუგა** რომელსაც ბრალს სდებენ იაპონიაში კომპარტიის ორგანიზაციების ჩამოყალიბების გამო.

ჩვენს შორის ნახევარს მისჯილი აქვს სასჯელი, ხოლო დანარჩენები კი ისევ გამოძიების ქვეშ იმყოფებიან. ის პირობები, რომელშიაც ჩვენ აქ გვიხდება ცხოვრება ყოვლად წარმოუდგენელი და აუტანელია, შეუძლებელია მისი აწერა. ვიწრო და პატარა ნესტიანი საკნები ისე სავსეა პატიმრებით, რომ ყოველ პატიმარზე ძლივს მოდის 1 — 1¼ კუბიკური მეტრი ჰაერი. ამას უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ ჩვენ გვტანჯავს სხვადასხვა პარაზიტი მწერები, რომლებიც მრავლათ მოიპოვებიან ყველა საკნებში. ჩვენ გვკვებავენ სრულიად უვარგისი საჭმელით. გვაძლევენ მარტო ²/₃ გირვანქა ხმელა პურს. ხშირათ კერძში ნახავთ მატლსა და ჭია-ღუას. გასასეირნებლათ ჩვენ გამოვდივართ ვიწრო ეზოში, რომელსაც გარსშემოვლებული აქვს მაღალი ქვის კედელი, ამ ეზოს ჩვენ სამართლიანათ ვეძახით უძირო ჭას.

ადმინისტრაციასთან თითქმის ყოველ დღე გვიხდება შეხლა-შემოხლა, რაც მეტად ამწვავებს ისედაც მეტისმეტად გამწვავებულ ურთი-ერთობას ჩვენს შორის. ჯერ არ გასულა ისეთი კვირა, რომ ჩვენ რაიმე პროტესტები არ შეგვეტანოს. ხანდახან შიმშილობის გამოცხადებასაც კი მივმართავთ ხოლმე. ჩვენ დიდის სიამოვნებით მივმართავთ ამ გამანადგურებელ იარაღსა და საშვალებას, რომლის წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა ფაშისტების მიერ გამოგონებული ღონისძიებები ჩვენ დასამორჩილებლათ და „დასაწყნარებლათ".

ამრიგათ მთელს პოლონეთში საპატიმროთა ადმინისტრაციას ჩვენ მთელი ორი წლის განმავლობაში ვებრძოდით ამ საშინელი საშვალებებით, რათა მათ მოეცათ ჩვენთვის მშობლებსა და ახლო ნათესავებთან ნახვის უფლება და ავადმყოფ პატიმართა საავადმყოფოში გადაყვანის საშვალება.

ყოველი ასეთი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ იწყება გაუგონარი რეპრესიები: ჩვენ გვართმევენ ნახვის უფლებას ერთი თვის, ან ორი კვირის ვადით, არ გვაძლევენ ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს, ამავე დროს დროგამოშვებით გასეირნების საშვალებებსაც კი გვართმევენ ადმინისტრაცია ასეთი მკაცრი ზომების გატარების დროს ხშირად სასტიკ პროტესტებს წააწყდება ხოლმე პატიმრის მხრით, ასეთ შემთვევებში შემჩნეულ პატიმრებს პა-

სუხისგებაში აძლევენ ადმინისტრაციისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ჩვენ მაინც არ ვეცემით სულით, არ ვუშინდებით ჩვენი კლასიური მტრის ძლიერ შემოტევას და ვაწარმოებთ სწავლა-განათლების შეძენას, ჩვენ აქ ჩამოვაყალიბეთ ორი დაბალი და მაღალი საფეხურის სკოლა, სადაც ჩვენ ვსწავლობთ მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებს. თუმცა ჩვენ მოწყვეტილნი ვართ აქტიურ ბრძოლას, მაგრამ გართულნი ვართ ამ ბრძოლით, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იყო მძიმე პირობების გადატანა, რომელშიაც ჩვენ გვიხდება ცხოვრება.

რ ე მ ე დ ა ს ი ს ბ ი უ რ ო ს ს ძ ი ნ ა ვ ს

(სვირი, ქუთაისის მაზრა)

სვირის მეხუთე უბნის ა. ლ. კ. კ. უჯრედთან წელიწადზე მეტია, რაც ჩამოყალიბდა რემედასის ბიურო. ჩვენ გვეგონა ის რამეს გააკეთებდა, მაგრამ დღემდის მას არავითარი მუშაობა არ უწარმოებია. მართალია აქა-იქ შეხვდებით რემედასის წევრებს, რომლებიც თან ატარებენ საწევრო წიგნაკებს, მაგრამ საწევრო გადასახადის შეტანის კვალი არ აჩნია მათ წიგნაკის ფურცლებზე. ეტყობა ამაზე ბიურო თავს არ იწუხებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ უპარტიო გლეხებსა და გლეხ ახალგაზრდობის მასაში არ სწარმოებს არავითარი მუშაობა, არ ეძლევათ მათ სათანადო ახსნა-განმარტება რემედასის მნიშვნელობისა და მისი უდიდესი მიზნების შესახებ.

საჭიროა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს და შემჩნეული დეფექტები დროზე იქნეს გამოსწორებული.

დროა ბიურომ ხელი მოჰკიდოს იმ საქმის ასრულებას, რისთვისაც არიან ისინი მოწოდებულნი.

მ. ბ-ლი.

გ ა ნ ვ ა ა ხ ლ ე თ მ უ შ ა ო ბ ა

(ქ. ფოთი).

ქ. ფოთის რემედასის ორგანიზაციის ცენტრალური უჯრედს სხვა დანარჩენ უჯრედებთან შედარებით თავისი მუშაობით პირველი ადგილი ეჭირა. უჯრედთან არსებობდა დრამატიული წრე, სისტემატიურად იცემოდა კედლის გაზეთი „რ ე მ ე დ ა ს ი ს ხ მ ა", რომელშიაც წევრები მონაწილეობდენ.

უჯრედის კრება იმართებოდა თვეში ორჯერ, სადაც კეთდებოდა მოხსენებები რემედასის საერათოშისო მნიშვნელობის, თეთრი ტეროორის მოძრაობის და კაპიტალისტურ ქვეყნებში მებრძოლ პროლეტარიატის მდგომარეობის შესახებ. გავიდა დრო და ყველაფერი ეს ისევ მინელდა, ამხანაგები ნაკლებ ინტერესით ეპყრობოდენ ორგანიზაციის მუშაობას, მაგრამ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა შეიცვალა, არჩეულ იქნა ახალი ბიურო და მისი მდივანი.

ჩვენ იმედი გვაქვს ახალი ბიუროს შემადგენლობაში შემავალი ამხანაგები ენერგიულად მოკიდებენ ხელს მუშაობას და რემედასის ორგანიზაციას ისევ ჯეროვან ნიადაგზე დააყენებენ. ბიურომ ყურადღება უნდა მიაქციოს მშრომელთა მასების ჩაბმას რემედასის მუშაობაში, საჭიროა მუშაობა გამოცოცხლებული იქნეს ახალგაზრდობასა და მშრომელ ქალთა შორის.

უჯრედმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე რემედასის პრესის გავრცელებას, საჭიროა რათაც არ უნდა დაჯდეს ჟურნალ „რემედასის" ფართედ გავრცელება მასებში. დროა რემედასის საქ. ც. კ. ყოველთვიურ ორგანოს იწერდეს ყოველი მშრომელი, ამისათვის კი სათანადო მუშაობის ჩატარებაა საჭირო, რაც მხედველობაში უნდა მიიღოს რემედასის ახალმა ბიურომ.

ვლ. ჯალალანია.

ამხ. ლადიმე მათითაშვილი. სოფ. ქვენობნის (ოზურგეთის მაზრა) რემედასის თემკომის მდივანი, რომელიც აქტიურად მუშაობს თემის მასშტაბით.

ოფიციალური განყოფილება

გეგმა

ტფილისის ორგანიზაციებში „რემედიასის კვირეულის“ ჩატარების.

1. „რემედიასის კვირეული“ ტფილისის ორგანიზაციებში ჩატარებულ უნდა იქნეს ა. წ. 16-დან 23-დეკემბრამდე, ხოლო ყულაბებით ფულის შეგროვება კი ოთხი დღის განმავლობაში ე. ი. კვირეულის დასაწყისში 16 და 17 დეკემბერს და კვირეულის უკანასკნელ დღეებში 22 და 23 დეკემბერს.

2. კვირეულის ჩასატარებლად რაიონულ და თემის კომიტეტებთან დაარსებული უნდა იქნეს კომისიები, როგორც პარტიული, კომკავშირის, პროფწარმომადგენლებისა და პერსონალურად შერჩეულ ამხანაგებისაგან, ავტორიტეტით აღჭურვილ ამხანაგების თავმჯდომარეობით (თემკომებში სასურველია კომისიების შედგენა თემალმასკომების თავმჯდომარეების — თავმჯდომარეობით).

3. ძირითად უჯრედებში კამპანიის ჩატარება ევალებათ: პარტიული და კომკავშირის უჯრედების, ქარხკომის ადგილკომის და მასთან მუშა და გლეხი ქალთა წარმომადგენლებს.

4. წინასწარი მოსამზადებელ-განმარტებითი მუშაობა რემედასის კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების გასაშუქებლად დაწყებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ა. წ. 25 ნოემბერს.

5. რემედასის კვირეულის ჩატარების ძირითად ამოცანას შეადგენს:

ა) რემედასის რიგებში ახალი წევრების ჩაბმა, რისთვისაც რემედასის უჯრედების კრებებზე ჩატარებული უნდა იქნეს მოხსენებული, კვირეულის ამოცანების ირგვლივ და პარალელურად გაშუქებული უნდა იქნას საკითხი რემედასის ორგანიზაციაში ახალ წევრთა ჩაბნის შესახებ: წარმოებებში სასაუზმო დასვენების დროს მოეწყოს სათანადო საუბრები, კედლის გაზეთებში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს პრესის საშუალებით ინდივიდუალური და ჯგუფური აგიტაცია. რემედასის წევრებმა საბინაო კოოპერატიულ სახლებში უნდა შექმნან უჯრედები დიასახლისებისაგან; კლუბებში ჩატარებულ უნდა იქნეს საღამოები რემედასის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით შესავალი სიტყვების წარმოთქმით რემედასის ამოცანების შესახებ და სხვა.

ბ) ძირითად უჯრედებში გამოცოცხლებული უნდა იქნეს პოლიტიკურ-აღმზრდელობით და ინტერნაციონალური ხასიათის მუშაობა, რისთვისაც დამუშავებული უნდა იქნეს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი რემედასის საქ. ც. კ. მეორე პლენუმის მიერ მიღებული რეზოლიუციის მიხედვით.

გ) რემედასის ლიტერატურა გავრცელებულ უნდა იქნეს ფართე მასებში სათანადო კამპანიის ჩატარებით; უჯრედებიდან გამოყოფილ უნდა იქნეს პრესის რწმუნებულები (სადაც ასეთები ჯერ ჯეროობით გამოყოფილი არ არიან), მათ უნდა დაევალოს სპეციალურად პრესის საკითხების დამუშავება და ლიტერატურის გავრცელება; ძირითად უჯრედის აქტივის კრებისაგან გამოყოფილი უნდა იქნეს წიგნების დამტარებლები, კორესპოდენტები რემედასის მუშაობის გასაშუქებლად პარტიულ, საბჭოთა და რემედასის ორგანოებსა და ადგილობრივ კედლის გაზეთებში, რომლებშიაც უნდა იქნეს ინდივიდუალური ხელის მოწერა როგორც საქართველოს, ისე ს. ს. რ. კ. ც. კ. გამოცემებზე (ამ საკითხის შესახებ მიიღებთ დამატებით დირექტივას).

დ) გაბმული და განმტკიცებული უნდა იქნეს კავშირი, როგორც ადგილობრივ ორგანიზაციებსა და საშეფო ციხეების, ისე საზღვარ გარეთელ მოძმე ორგანიზაციებს შორის, ამ საკითხის შესახებ წინეთ გაცემულ დირექტივების მიხედვით, სათანადო მასალების გასაშუქებლად რემედასის კვირეულისათვის გამოვა ქართულ რუსულ ენაზე სპეციალური ბიულეტენი „წითელი დახმარება“.

ვ) ორგანიზაციის მატერიალურ ღონისძიებათა გასაუმჯობესებლად უნდა მოწყობილ იქნეს ოთხი დღის განმავლობაში ყულაბებით ფულის შეგროვება, 10% ანარიცხების აკრეფა კინო-თეატრების, კლუბებისა, და სხვა საზოგადო გასართობ ადგილებიდან ფასიანი წარმოდგენა საღამოების ჩატარებით, პრესის საშუალებით ამხანაგების გამოწვევით და სხვა.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი.

ცირკულიარი № 32
10 დეკემბერი 1928 წელი.

ტფილისის კომიტეტს, რემედასის საქართველოს ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

(რემედასის პრესის სამდღიურის ჩატარების შესახებ.)

რემედასის ლიტერატურის მასებში გავრცელების მიზნით და რემედასის ს. ს. რ. კ. და საქ. ცენ. კომიტეტის პერიოდულ გამოცემებზე („პუტ მოპრა“, „ბიულეტენი“ და ჟურნალ „რემედასი“) წლიურ და 6 თვიურ ხელის მომწერთა რაოდენობის გასაძლიერებლად რემედასის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა რემედასის კვირეულის ჩატარებასთან ერთად გადასწყვიტა ადგილებზე ჩაატაროს რემედასის პრესის სამდღიური.

დღემდის ჩვენს მუშაობაში რემედასის პრესის გავრცელებას ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი, ზოგიერთ ორგანიზაციებში კი მას თითქმის არავითარი ყურადღება არ ეჭცევოდა.

ინდივიდუალური ხელის მომწერთა რაოდენობა საგრძნობლად მცირეა. რაც დღევანდელ პირობებში მეტის მეტად აფერხებს, როგორც რუსულ ენაზე „პუტ მოპრასა და ბიულეტენის", ისე ქართულ ენაზე ჟურნალ „რემედასის" სისტემაიურად გამოცემის საქმეს.

რემედასის პრესის სამდღიურის ჩატარებასთან დაკავშირებით საჭიროა გაცხოველებულ იქნეს საინტერესო კამპანია შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „რემედასის ყოველი შეგნებული წევრი, ყოველი აქტივისტი და ყოველი უჯრედი ვალდებულია გახდეს რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის პერიოდულ ორგანოს ჟურნალ „რემედასი"-ს და რემედასის ს. ს. რ. კ. ცენტრ. კომიტეტის ორგანოს ჟურნალ „პუტ მოპრასა" და „ბიულეტენი"-ს ხელის მომწერი.

ინდივიდუალურ ხელის მომწერთა კადრის გაფართოებამ უნდა გააძლიეროს ჩვენი ეკონომიური მხარე, რათა შეიქმნას მტკიცე საგამომცემლო მატერიალური ბაზა, რითაც საშვალება მოგვეცემა ჟურნალი უფრო დაუახლოვოთ მკითხველ მასებს.

ამ მიზნით რემედასის საქართველოს ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილებს ჩაატარონ შემდეგი:

1) რემედასის სამაზრო და სათემო კომიტეტებთან პარტიულ-კომკავშირულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებსა და პერსონალურად შერჩეულ ამხანაგების შემადგენლობით ჩამოყალიბებულ იქნას სპეციალური კომისიები რემედასის პრესის სინამდვილის ჩასატარებლად.

2) ანალოგიური კომისიები უნდა იქნენ ჩამოყალიბებული რემედასის უჯრედებთან უჯრედის მიერ რემედასის პრესის რწმუნებულად გამოყოფილ ამხანაგების თავმჯდომარეობით, ხოლო საცა ასეთები არ არის, იქ დაუყონებლივ უნდა იქნეს გამოყოფილი პრესის რწმუნებულები.

3) ქალაქის რაიონის და თემის მასშტაბით რემედასის მიერ ჩატარებულ თათბირებზე, აგრეთვე უჯრედის კრებებზე დასმულ იქნას საკითხი ხელის მოწერის კამპანიის ჩატარების შესახებ და ასეთები იქვე იქნეს წარმოებული.

4) სამდღიურის განმავლობაში საჭიროა შემოღებულ იქნას ჟურნალ რემედასის მკითხველთა შორის მოეწყოს თათბირი.

5) უჯრედებთან უჯრედის აქტივებისაგან გამოყოფილ იქნას წიგნის დამტარებლები, რომლებსაც უნდა დაევალოს ლიტერატურის გავრცელება, რათა ლიკვიდაცია გაუკეთდეს ადგილობრივად დაგროვილ ლიტერატურას.

6) გამოყოფილ იქნას კორესპოდენტების კადრი რემედასის მუშაობის გასაშუქებლად პარტიულ საბჭოთა და რემედასის პრესაში.

7) სადაც ჯერ არ არსებობს — წარმოებულ იქნას მოლაპარაკება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიასთან გაზეთში რემედასის კუთხის გამოყოფის შესახებ.

ხელის მოწერის ჩატარების დროს მხედველობაში უნდა იქონიოთ ის გარემოება, რომ ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს ი", „პ უ ტ მ ო პ რ ა" და „ბ ი უ ლ ე ტ ე ნ ი" დაეგზავნება მხოლოდ მუდმივ ხელის მომწერლებს.

რემედასის საქ. ც. კ. პას. მგ. მდივანი: ქ ო ი ა ვ ა.

სააგ. საპრ. განყოფილების გამგე: ც ქ ვ ი ტ ი ნ ი ძ ე.

გ ა ხ ს ო ვ დ ე თ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს პ ა ტ ი მ რ ე ბ ი.

ამხ. ნ. კ უ ნ ჭ უ ლ ი ა ს გამოწვევით რემედასის სასარგებლოთ შემომაქვს 5 მან. და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ნ ი კ ო კ ა ლ ე ნ ო ვ ს, 2. გ. კ რ ე ს ტ ო დ ს, 3. მ. ე ი გ ნ ა ნ ს კ ი ს, 4. ხ. ვ ი გ ნ ა ნ ს კ ი ს, 5. ს ო ს ო ძ ნ ე ლ ა ძ ე ს, 6. ე ბ რ ა ლ ი ძ ე ს, 7. გ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე ს და 8. ი. ბ ო ნ დ ა რ ე ნ კ ო ს.

კ. ცხომელიძე.

ამხ. ვ ა ნ ო ტ ყ ა ბ ლ ა ძ ე ს გამოწვევით სად. ქუთაისის რკინის გზის რემედასის რაიკომის სალაროში კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ შემომაქვს 3 მან. (ქვით. № 250) და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1. ს ი მ ო ნ გ უ რ ე მ ი ძ ე ს, 2. კ ო წ ი ა უ გ ლ ა ვ ა ს, 3. ტ რ ი ფ ო ნ პ ა ტ ა რ ა ი ა ს, 4. ა ნ ტ ო ნ ნ ა ჭ უ ე პ ი ა ს, და 5. გ ი ო რ გ ი ც ო მ ა ი ა ს.

კირილე სტურუა.

ამხ. ვ ა ნ ო ტ ყ ა ბ ლ ა ძ ი ს გამოწვევით უცხოეთის პოლიტპატიმართა სასარგებლოთ სად. ქუთაისის რემედასის რკინის გზის სალაროში შემომაქვს 3 მან. (ქვითარი № 246) და ამავე მიზნით ვიწვევ ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს: 1. თ ე ი მ უ რ ა ზ მ ა რ ვ ა ძ ე ს, 2. ბ ა გ რ ა ტ უ გ ლ ა ვ ა ს, 3. რ ო მ ა ნ ო ზ გ ე დ ე ნ ი ძ ე ს, 4. მ ი ხ ე ი ლ გ ა ბ რ ი ჩ ი ძ ე ს და 5. ნ ი კ ო ლ ო ზ გ ი ო რ გ ა ძ ე ს.

ათანასი ფილია.

ცხრილი

1928 წ. 1-ლ მესამედის განმავლობაში თეთრი ტერორისა და კლასობრივი იუსტიციის საქმიანობის მაჩვენებელი.

№№ რიგზე	ქვეყნები.	თეთრი ტერორი			კლასობრივი იუსტიცია				
		მოკლულთა რაოდენობა	დაჭრილთა რაოდენობა	დაპატიმრებულთა რაოდენობა	პროცესების რაოდენობა	ჯასამართლეულთა რაოდენობა.	მათ შორის		
							დახვრეტილნი	საუკ. კატორღა მისჯილნი	საერთო ვადით მისჯ. წ. წ. რაოდ.
1	ავსტრალია	17	34	17	4	11	—	—	1,1
2	ავსტრია	—	88	173	16	29	—	—	10,5
3	ალბანეთი	—	32	156	6	31	31	—	—
4	ინგლისი	—	2	19	10	40	—	—	2,8
5	ბულგარეთი	—	14	53	7	15	—	—	2,7
6	ბელგია	117	658	2252	7	49	15	19	58
7	უნგრეთი	2	286	372	33	42	—	—	174,4
8	გაიტი	—	—	2	—	—	—	—	—
9	გერმანია	13	441	1024	275	486	—	—	159,5
10	საბერძნეთი	86	728	2523	27	138	2	—	192,2
11	ჰოლანდ. ინდოეთი	5	7	148	1	1	—	—	2,5
12	ეგვიპტე	—	58	150	—	—	—	—	—
13	ინდოეთი	66	2064	1440	33	444	—	4	398,7
14	ირანი	257	760	114	—	—	—	—	—
15	ირლანდია	1	3	12	1	1	—	—	0,8
16	იტალია	19	320	2998	112	640	—	1	3238,2
17	იტალ. კოლ.	673	540	410	—	—	—	—	—
18	ესპანეთი	3	179	4728	—	—	—	—	—
19	კანადა	—	—	2	1	1	—	—	0,2
20	ჩინეთი	37817	47285	49429	334	22746	22528	2	399
21	კორეია	—	98	825	1	84	—	—	168
22	კუბა	10	48	731	—	—	—	—	—
23	ლატვია	1	105	1009	10	67	4	5	283,1
24	ლათ. ამერიკა	3846	2752	2801	—	—	—	—	—
25	ლიტვა	1	196	680	12	40	5	2	210,5
26	ნორვეგია	—	—	2	3	36	—	—	0,3
27	პალესტინა	3	74	271	44	134	—	—	6,2
28	სპარსეთი	60	28	102	—	—	—	—	—
29	პოლონეთი	23	1188	4479	58	449	3	2	1521
30	პორტუგალია	7	68	650	—	—	—	—	—
31	რუმინეთი	11	393	1353	13	44	—	—	70,6
32	სამოა (ინგლისი)	11	15	268	—	—	—	—	—
33	ჩრ. ა. შ. შტატები	24	642	2952	48	804	—	—	207,1
34	სიამა	—	—	12	—	—	—	—	—
35	სირია	20	67	—	3	21	4	—	—
36	სოლომონის კუნძული	25	58	200	2	26	10	5	187
37	სუდანი	113	175	—	—	—	—	—	—
38	ოსმალეთი	—	12	563	2	25	—	—	6
39	პილიპინი	19	35	—	—	—	—	—	—
40	ფინლიანდია	—	3	87	3	50	—	—	127,5
41	საფრანგეთი	1	290	4266	231	373	—	—	312,3
42	საფრანგეთის კოლ	1063	438	102	1	11	11	—	—
43	ჩეხო-სლოვაკია	1	205	647	49	139	—	—	23,2
44	შვეცია	—	—	2	—	—	—	—	—
45	შვეიცარია	1	9	29	4	105	—	—	3,5
46	ესტონეთი	—	2	17	2	8	—	—	39
47	სამხრეთ სლავია	41	865	3120	45	242	9	—	1218,5
48	სამხრეთ აფრიკა	2	13	112	3	7	—	—	1,6
49	იაპონია და მისი კოლონ.	11	139	5100	3	46	1	—	88
		44370	61217	46429	1403	27435	22623	40	9240

ტფილისი, ს. ს. ს. ს. პოლიგრ. ტრ. 1-ლი ხტ. პლ. პრ. № 91 შეკვეთა № 407. მთავლიტი № 2102. ტირაჟი 5000.

პოლიტ-პატიმართა წერილები

ამნისტიის დღეებში



ამნისტიის ჩატარების შემდეგ ლიუდვინსბურგის საპყრობილეში დარჩენილ პატიმართა ერთი ჯგუფი.

გერმანელი პოლიტ-პატიმრები უკანასკნელათ გადმოგზავნილ წერილში იწერებიან:

„ჩვენი მღელვარება ყოველ საათებით მატულობდა, თავში გვებადებოდა ათასგვარი გეგმები. დრო და დრო დავაც კი დაიწყებოდა ხოლმე. მოკლევადიანი პატიმრები მეტად პესიმისტურათ იყვნენ განწყობილნი, გრძელვადიანებს კი — მხნეთ და ყოჩაღათ ეჭირათ თავი. იყო გაცხარებული კამათი, ყველას მართალი ეგონა თავისი თავი.

მაგრამ დრო ნელა მიდიოდა. დღეები დღეებს მისდევდენ, ჩვენ კი ვისხედით მარტოკა გალიაში და არ მოგვდიოდა არც გაზეთი, არც წერილი. ჩვენ ვცდილობდით რაიმე შეგვემჩნია ზედამხედველების სახის გამომეტყველებით, გვინდოდა მათი საუბრისაგან რაიმე ახალი ცნობა გაგვეგო, მაგრამ ვერაფერი ვერ გავიგეთ, ამაო გამოდგა ცდა და ლოდინი.

ერთ დღეს, სადილობის დროს უეცრათ გაისმა: „ფოსტა"!.. ზედამხედველი შემოვიდა გაზეთით ხელში ყველანი კარებს მივარდენ. ყველა ჩვენთაგანი ცდილობდა პირველათ წაეკითხა გაზეთი, გაეგო თუ რა ახალი ამბები მოხდა გარეთ! ამ დროს უეცრათ გაისმა ყვირილი. თურმე ზედამხედველმა მთელი გაზეთებიდან მხოლოდ ერთი უმნიშვნელო განცხადება დასტოვა.

ამის შემდეგ ისევ გადიან მოწყენილი და სევდიანი დღეები. ვერც ერთმა პატიმარმა ვერ დაუდო სამუშაოს გული. ყველას სმენა მიპყრობილი ჰქონდა ქუჩისაკენ და სულ იმის ფიქრში იყვენ, თუ რა ხდებოდა იქ, ქალაქში, ქარხნებში, თავისუფლებაში დარჩენილთა შორის.

და აი, ერთხელ, როგორც იყო, საღამო ჟამს: მოვიდა გაზეთი. პატიმრებმა გადაშალეს გაზეთი და ერთ-ერთმა ამხანაგმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა: „მიღებულია კომუნისტური ფრაქციის მიერ გამოტანილი დადგენილება საერთო ამნისტიის შესახებ ყველა პროლეტარ პატიმრების განსათავისუფლებლათ, მოთხოვნილია რეიხსტაგისაგან, რათა მან დაუყონებლივ მიიღოს და ცხოვრებაში გაატაროს ეს ამნისტია".

ამრიგათ მუშათა კლასი იბრძვის ჩვენ დასახსნელათ! — ამნისტია! — ამნისტია! — გაჰკივიან პატიმრები და გაზეთ „ფრანკფურტ ცეიტუნგი"-ს ფურცელი ხელიდან ხელში გადადის.

გადის კიდევ ათი დაუსრულებელი და მოუთმენელი დღე. დაბოლოს ისევ გაზეთი მივიღეთ, რომელშიაც ვკითხულობთ შემდეგს: „სამწუხაროთ მუშათა კლასმა მხოლოთ ნაწილობრივათ მოახერხა მის მიერ წამოწყებულ მოთხოვნილებათა განაღდება". არავინ უჯერის საკუთარ თვალებს. ერთი მეორეზე ვაწყობთ ამ სიტყვებს: „სამწუხაროთ ამნისტია არ შეეხოთ!" — არა, არა ეს დაუჯერებელია!

ისევ მოდიან ტანჯვით სავსე მწუხარე დღეები... ისევ საპყრობილის რუხი კედლები, ლოდინი მწარე და მოუთმენელი.

პ/მგ. რედაქტორი: თენგიზ ჟღენტი.

სარ. კოლეგია:
1. ალ. ძოლიავა.
2. მიხ. ცქვიტინიძე.
3. პოლიო აბრამია.

რემედასის საქ. ცენტ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი ლენინის ქ № 29, ტელეფონი 9—78.

მიილება ხელის მოწერა

ჟურნალ რემედას-ზე

1928 წ. განმავლობაში გამოცემული იქნება 12 ნომერი

ჟურნალ **რემედასის საქ. ცენ. და ტფ. კომ. ყოველთ.**

„რემედას“-ი

მასიური ორგანოა

(გამოცემის წელი მეხუთე)

ჟურნალ „რემედას“ უმთავრეს ყურადღებას აქცევს კაპიტალისტურ ქვეყნების ციხეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმრების ყოფა-ცხოვრებას თეთრი ტერორისა და კლასიური იუსტიციის აღვირახსნილობას, მშრომელთა ფართე მასების ინტერნაციონალურად აღზრდას, როგორც საბჭოთა კავშირის ისე უცხოეთის სექციებისა და ძმური ორგანიზაციების მოღვაწეობას, ჟურნალში აგრეთვე საკმაო ადგილი ეთმობა მხატვრობასა და ლიტერატურას.

ხელის მოწერის პირობები:

ერთი წლით — 2 მან. 20 კ. | სამი თვით — 60 კ.

ექვსი თვით — 1 მან. 15 კ. | ცალკე ნომერი — 20 კ.

ყოველი შეგნებული მუშა, გლეხი, კომკავშირელი, მშრომელი ქალი და საბჭოთა მოქალაქე უნდა გახდეს ჟურნალ „რემედას“-ის ხელის მომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ის ხელის მოწერის ჩატარება ერთ-ერთი პრაქტიკული ამოცანაა რემედასის ორგანიზაციებისა და უჯრედებისათვის.

ყოველი თვის დასაწყისში გამორკვეული უნდა იქნეს რამდენი ხელის მომწერი ეავს ჩვენს ჟურნალს რემედასის ამა, თუ იმ უჯრედში, ან ორგანიზაციაში. აცნობეთ რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობას, როგორ ვრცელდება ჟურნალ რემედასი.